თანამშრომლობის მემორანდუმი

თბილისი, 04 ოქტომბერი 2021 წელი

ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულებას, საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკასა და პოლონურ არასამთავრობო ორგანიზაცია EDUKATOR-ს შორის.

ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება, საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა და პოლონური არასამთავრობო ორგანიზაცია EDUKATOR-ი (შემდგომში მხარეები) გამოხატავენ რა სურვილს ითანამშრომლონ საქართველოში პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტის **,,თითოეული ბავშვისათვის - სკოლამდელი განათლების ადგილობრივი პოლიტიკის სისტემური მხარდაჭერა"** განხორციელების მიზნით შეთანხმდნენ შემდეგზე:

მემორანდუმის მიზანი და სფერო

მხარეები აღიარებენ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა განათლების მნიშვნელობას სახელმწიფოს განვითარებისათვის და ადგლობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ როლს სკოლამდელი განათლების საკითხების მართვასა და რეგულირებაში. მხარეები მიიჩნევენ რა მნიშვნელოვნად ბავშვთა გონებრივ, ფიზიკურ და ესთეტიკურ აღზრდას - თანხმდებიან თანამშრომლობაზე პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის.

თანამშრომლობის საფუძველი

საქართველოში პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი:

,,თითოეული ბავშვისათვის - სკოლამდელი განათლების ადგილობრივი პოლიტიკის სისტემური მხარდაჭერა" (მიმდინარეობის პერიოდი - 2021 წლის ივლისი - 2023 წლის დეკემბერი)

მხარეთა ვალდებულებები

<u>საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკასა და პოლონური არასამთავრობო ორგანიზაცია EDUKATOR-ის ვალდებულებები:</u>

• მუნიციპალიტეტის 2 საბავშვო ბაღში მოაწყონ სკოლამდელი განათლების სტანდარტების შესაბამისი რესურს ოთახი;

• რესურს ოთახები აღჭურვონ საჭირო ავეჯით, სასწავლო და საგანმანათლებლო მასალებით, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ კოსმეტიკური რემონტისათვის საჭირო სარემონტო მასალებით;

• ბაღების გაერთიანებასთან ერთად შეარჩიონ აღმზრდელი რესურს ოთახის სამართავად, რომელსაც ჩაუტარდება შესაბამისი ტრენინგი;

• ბაღების აღმზრდელებისა და დირექტორებისათვის ჩაატარონ სასწავლო ტრენინგები/სემინარები;

• პროექტის ბოლომდე განახორციელონ რესურს ოთახების მეთოდოლოგიური და მატერიალური (სახარჯი მასალა, სათამაშოები) მხარდაჭერა;

• პროექტის დასრულებამდე იზრუნონ 1 საბავშო ბაღის ეზოს კეთილმოწყობაზე;

• უზრუნველყონ საბავშვო ბაღის შენობების ტექნიკური შემოწმება და ბაღების გაერთიანებას წარუდგინონ შესაბამისი საინჟინრო დასკვნები.

<u>ააიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების ვალდებულებები:</u>

• უზრუნველყოს შესაბამისი საბავშვო ბაღის და მასში ფართის გამოყოფა რესურს ოთახის მოსაწყობად;

• შესაძლებლობის ფარგლებში მოახდინოს ოთახის კეთილმოწყობა;

• გააგრძელოს და შეინარჩუნოს რესურს ოთახის ფუნქციონირება მას შემდეგ რაც პროექტი დასრულდება;

• შეარჩიოს პერსონალი პროექტით გათვალისწინებული ტრენინგებისა და სემინარებისათვის და უზრუნველყოს მათი მონაწილეობა ტრენიგებსა და სემინარებში.

ზოგადი საკითხები

მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და გრძელდება პროექტის დასრულებამდე.

მემორანდუმი წარმოადგენს მხარეთა შორის შეთანხმებას მხოლოდ მემორანდუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად.

მემორანდუმის ნებისმიერი მოთხოვნა, რომელიც შეიძლება არ შეესაბამებოდეს მხარეების დებულებებსა და შინაგანაწესს ჩაითვლება ძალადაკარგულად, ამასთან სხვა ნაწილები განიხილება როგორც მოქმედი.

მემორანდუმი მომზადებულია და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად ქართულ ენაზე.

დაწესებულების დირექტორი: ლელა გოგმაჩაძე

კოორდინატორი პოლონეთი: მაჟენა რაფალსკა

Mareme Rafalske

კოორდინატორი საქართველო: ალექსანდრე კალანდაძე